1 იანვარი

ყოვლადწმიდა დედა ღმრთისა დდ,[ს],თ

(19.XII) წმმ. ღიხსი გიოხგი მწეხაღი და ძმა მისი საბა ხახუღეღნი

2022 შაბათი

რიცხ 6,22-27; ფს 66; გალ 4,4-7; ლკ 2,16-21

მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

მარიამმა კი იმარხავდა ყოველივე ამას ლკ 2,19

მარიამის გულში რჩება ყველა მოსმენილი სიტყვა და ყველა ნანახი ფაქტი: სიტყვები და ფაქტები მის შვილს რომ შეეხება, იესოს. გულში კი მშვიდობის, სიმშვიდის, კეთილშობილების და თავმდაბალი ქველმოქმედების ნაყოფს იძლევა. ჩვენც შეგვიძლია მისით გავმდიდრდეთ, რადგან ის ჩვენი დედაცაა. ვეცდებით ამ ახალ წელს მივბაძოთ მას, რათა ჩვენც ვიქცეთ კურთხევად სამყაროსათვის.

2 იანვარი

II კვირადღე შობის შემდეგ, «გ», [II], თ

2022 კვირა

ზირ 24,12.8-12; ფს 147; ეფ 1,36.15-18; იო 1,1-18

სიტყვა ხორცი იქმნა იო 1,14

სიტყვა, რომელიც იყო ღმერთთან, ის, ვინც იყო
და არის მიმართული მამისაკენ, რათა აღას-
რულოს მხოლოდ ის, რასაც მასში ხედავს; ის
სიტყვა, რომლისთვისაც ყოველივე შეიქმნა,
მიწა და ზეცა, ყოველივეთი, რაც მათშია; ის,
ვინც ანიჭებს სიცოცხლეს და უნარს ღმერთთან
მიახლებისა ჭეშმარიტებაში. იგი ხორცად იქმნა
ღვთისმშობლის წიაღში. დიდება შენს სახელს
უფალო იესო!

3 იანვარი

2022

შობის ჟამი [ს] თ

იესოს უწმიდესი სახელი
(21.XII) წმ. მაკარი მმარხველი, ხახულის აბატი;

ორშაბათი

1იო 2,29 3,6; ფს 97; იო 1,29-34

ჩემს შემდეგ მოდის კაცი,
რომელიც ჩემზე უჯირატესია იო 1,30

დღეს ჩვენ ვისმენთ, რას მოწმობს იოანე ნათ-
ლისმცემელი იესოზე: ამბობს, რომ ისაა ღვთის
კრავი, მარადისობიდან ცოცხალი, ჩვენთან და
ჩვენთვის. მის სიტყვებზე დაყრდნობით, მადლო-
ბას ვუძღვნით იესოს, მოვუხმობთ მას, გვიყვარს
იგი და ვმოწმობთ მის სიყვარულს.

4 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2022 სამშაბათი

1იო 3,7-10; ფს 97; იო 1,35-42

 აი, კრავი ღვთისა! იო 1,36

იოანემ იცოდა, რომ ეს შედარება, ხატი გასაგები იყო მისი მსმენელებისთვის. სხვა თუ არაფერი, მათ შეეძლოთ მიმხვდარიყვნენ, რომ იესო ნაწინასწარმეტყველევი იყო იმ კრავში, რომელიც ღმერთმა მიუძღვნა აბრაამს, რათა მისით ჩაენაცვლებინა თავისი ვაჟი ისააკი მსხვერპლშეწირვისას. იესო ჩვენთვის, ცოდვილთათვის გადასდებს თავს და ხსნად და კურთხევად გვევლინება.

5 იანვარი

შობის ჟამი [ს], თ

2022 ოთხშაბათი

1იო 3,11-21; ფს 99; იო 1,43-51

ნაზარეთიდან რაიმე კარგი
შეიძლება გამოვიდეს? იო 1,46

ეს ნათანაელი გამოხატავს ამ ეჭვს ფილიპე-
სთან. მან იცის, რომ მესია მოვა ბეთლემიდან,
დავითის საგვარეულოდან. იესომ დააფასა მისი
სიყვარული წმიდა წერილებისადმი და ნათანა-
ელს აღარ ეპარება ეჭვი. აღიარებს, რომ ნაზარე-
თიდან, რაოდენ გადაკარგულიც არ უნდა იყოს,
ღმერთმა ამოზარდა თავისი ყლორტი, თავისი
კურთხეული, ის, ვინც მსოფლიოს აუწყებს მას.

6 იანვარი

უფლის გაცხადება, დდ, [ს], თ

2022

ხუთშაბათი

ეს 60,1-6; ფს 71; ეფ 3,2-3ა.5-6; მთ 2,1-12

ვიხილეთ, როგორ განათდა მისი ვარსკვლავი მთ 2,2

მოგვები თავდაჯერებულად საუბრობენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი და ყველას ცხოვრება არ არის სრული და ვერ იქნება სიხარულით სავსე, თუ "იუდეველთა ახალ მეფეს" არ შეხვდებიან. ის ნამდვილად ახალი მეფეა, რადგან ვარსკვლავებიც კი მოძრაობენ მისთვის. რამხელა მადლი მქონია, თუ უკვე ვიცი – მოგვებისაგან განსხვავებით – მისი სიყვარული, მისი სამართლიანობა და წყალობა!

7 იანვარი

2022

შობის II კვირა, [ს], თ

წმ. ჰაიმუნდე პენიაფოჰტელი, მღვ. +1275

პარასკევი

1იო 3,22-4,6; ფს 2; მთ 4,12-17.23-25

შობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოინანიეთ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი მთ 4,17

იესო, შენი სიტყვა გვიჩვენებს გზას. შენ სიყვა-რულით გვესაუბრები, გინდა იყო ჩვენი მეგზური, გინდა გვაჩუქო შენი სიცოცხლე. შენ ხარ თვინიე-რი და კეთილი მეფე, რომელიც გვაგრძნობინებს ზეციური მამის სიყვარულს. გმადლობთ, გული შენკენ მექნება მოპყრობილი და ასე შევალ იმ სამეფოში, რომლის მეფეც შენა ხარ.

8 იანვარი

შობის II კვირა, [ს], თ

2022 შაბათი

1იო 4,7-10; ფს 71; მარ 6,34-44

იესომ თამრავი ხალხი დაინახა, ... თმწყემსო ცხვრებივით იყვნენ მარ 6,34

როდესაც დაინახა ის ხალხი, რომელმაც მას წინ გაუსწრო, იესო წყვეტს დასვენებას და იწყებს მათთვის წმიდა წერილის, ანუ მამის სიყვარულის სწავლებას. ის ლაპარაკობს ავტორიტეტით და მისი მოსმენისას ბრბო გრძნობს, რომ ღვთის სასუფევლის იმედები უცოცხლდებათ გულში. გარდა ამისა, იესო, როგორც კეთილი მწყემსი, მათ შიმშილს პურითა და თევზით შველის. გმადლობთ, იესო, შენ მეგზურობ და აპურებ ყველას, ვინც კვალში გიდგას.

9 იანვარი

უფლის ნათლისღება «გ», დ, [ს], თ

2022 კვირა

ეს 40,15.9-11; ფს 103; ტიტ 2,11-14; 3,4-7; ლკ 3,15-16.21-22

შენა ხარ ძე ჩემი სათვარელი ლკ 3,22

"ხმა ზეციდან" წარმოთქვამს ამ სიტყვებს. დღეს მეც ვისმენ მათ, გაოცებული. მახსოვს, რომ მეფისადმი მიმართული ფსალმუნის ლოცვაში უკვე შევამჩნიე წინადადების პირველი ნაწილი და მეორე კი აბრაამის ბაგიდან გაისმა, როცა იგი შვილთან ერთად ადიოდა სამსხვერპლო მთაზე. ახლა ეს სიტყვები იესოსთვისაა: ის არის მეფე, რომელიც იწყებს მთაზე ასვლას, რომელზეც მას მსხვერპლად შესწირავენ!

10 იანვარი

2022 ოთხშაბათი

1მეფ 1,1-8; ფს 115; მარ 1,14-20

დაინახა იაკობი და მისი ძმა იოანე
და მეისვე მოიხმო ისინი მარ 1,20

იესო აცხადებს ღმერთის სამეფოს, რომლის მეფეც თავად არის. ამ სამეფოს ერთ-ერთი ნიშანი არის ახალი საკრებულო, რომელსაც იგი ქმნის. ის ამას აკეთებს იმით, რომ მოუწოდებს ადამიანებს, მიჰყვნენ მას, რადგან ის არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. პირველები უკვე ძმები არიან, რადგან მის სამეფოში ცხოვრობენ როგორც ძმები და არა როგორც ქვეშევრდომები.

11 იანვარი

2022 სამშაბათი

1მეფ 1,9-20; ფს: 1მეფ 2,1.4-8; მარ 1,21-28

თუფალს მივუმნი მას, მისი ცხოვრების ყოველ დღე 1მეფ 1,11

ეს სიტყვა მახსენებს იმას, რაც ერთმა მღვდელ-მა მოგვიყვა. როდესაც ის მშობლების მოსანახულებლად წავიდა, მამამისმა ის განზე გაიყვანა და უთხრა: „აჰა, ახლა შენ ხარ ღვთის მღვდელი; როგორც შენ მიუძღვენი შენი სიცოცხლე, მეც მიმიძღვნიხარ. აღასრულე შენი მსახურება. არ მოვითხოვ რომ მოხვიდე ხოლმე და მინახულო. შენ უფლისა ხარ “. გმადლობთ, იესო, ყველა იმ მშობლის რწმენისთვის, ვინც შვილებს გიძღვნიან.

12 იანვარი

2022 ოთხშაბათი

1მეფ 3,1-10.19-20; ფს 39; მარ 1,29-39

ბევრი სნეული განკურნა სხვა და სხვა სენისაგან და ბევრი ეშმაკი განდევნა მარ 1,34

გმადლობთ, იესო, რომ ხარ. დღესაც შეგვიძლია შეგხვდეთ, ეკლესიის სიჩუმეში, ან წმიდა წირვაზე, ან იქ, სადაც ხალხი იკრიბება, რომ მოგისმინონ, ილოცონ ან გამოგყვნენ. გმადლობთ, რომ მოწყალე ხარ, შეგიძლია გაგვათავისუფლო ეშმაკის მახეებისგან და ყოველგვარი სენისაგან.

13 იანვარი

2022

ხუთშაბათი

1მეფ 4,1-11; ფს 43; მარ 1,40-45

იეზუიტი მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

იესო გარეთ, უდაბურ ადგილებში იმყოფებოდა მარ 1,45

როდესაც ჩვენთვის იესო დაუპატიჟებელი სტუმარია, ვაიძულებთ მას შორს იყოს ჩვენგან. ყველა, ვინც მას არ უღებს კარს, ხელს უშლის მისი სამეფოს მოსვლას; მაგრამ ის კვლავაც თავისკენ იზიდავს მათ, ვინც გრძნობს რომ უპოვარია და გასაჭირში.

14 იანვარი

2022 პარასკევი

1მეფ 8,4-7.10-22; ფს 88; მარ 2,1-12

ადექ, აიღე შენი საკაცე და
წადი შენს სახლში მარ 2,12

იესო, შენ დიადი ხარ: შენი უბრალო სიტყვით
დავრდომილს აყენებ ფეხზე! იესო, შენ მართლა
ძლიერი ხარ: ის სიყვარული, რომელმაც
ჯვარზე აგიყვანა, მათავისუფლებს ცოდვისაგან,
ბოროტთან კავშირისგან და მაბრუნებს იმ
სიყვარულში, რომელმაც მისურვა და შემქმნა:
მამის გულში, სიხარულისა და მშვიდობის
ზღვაში. იესო, შენა ხარ ჩემი სიცოცხლის
სიცოცხლე!

15 იანვარი

2022 შაბათი

1მეფ 9,14.17-19; 10,1; ფს 20; მარ 2,13-17

მარ̀თალთა კი არ̀ა, ცოდვილთა
მოსახსმობ̀ად მოვ̀ედი მარ 2,17

გმადლობთ, იესო, რომ გვიმხელ კეთილი მწყემსის მისიას. შენ ცოდვილებთან ერთად უზიხარ სუფრას, უჩვენებ მათ შენს სიყვარულს, რათა მამისკენ სწორ გზაზე წაიყვანო ისინი. მადლობელი ვარ, რომ ჩემზეც ზრუნავ, მე ხომ ერთ-ერთი იმათგანი ვარ.

16 იანვარი

რიგითი II კვირადღე, «გ», [II], მწ

2022 კვირა

ეს 62,1-5; ფს 95; 1კორ 12,4-11; იო 2,1-12

რასაც კი გეტყვით, გააკეთეთ იო 2,5

ამ მსახურებისთვის საქორწილო სუფრაზე განწმენდისთვის საჭირო წყლის მიტანა ყოველგვარი ლოგიკის საწინააღმდეგო ქმედება იყო. მიუხედავად ამისა, ამ მორჩილების წყალობით იესომ შეძლო გამოეცხადებინა, რომ მესიასთან ჰქონდათ საქმე. გმადლობ, იესო, ყოველ ჯერზე, როცა მეც მანიჭებ უნარს დავყვე შენს სიტყვას, თუნდაც შენი მღვდლების სიტყვას. ასევე გმადლობ მარიამის, შენი დედის შუამავლობისთვის, ეკლესიის ისტორიის მანძილზე.

17 იანვარი

2022

წმ. ანტონ დიდი +356 (მ), თ / (4.I) წმ. ღიხსნი ევაგჩე მღვიმეღი, იღია ღიაკონი ღა სხვანი, მონაზონნი, VIს

ოიშაბათი

1მეფ 15,16-23; ფს 49; მარ 2,18-22

მოსმენა უკეთესია საკლავზე, დაყოლა — ცხვრების ქონზე 1მეფ 15,22

ცხოველთა მსხვერპლშეწირვა, როგორც ეს ხდებოდა ტაძარში, ახლა ეკლესიაში შესაწირის გაკეთება, მარხვა ან რელიგიური ჩვეულების შესრულება შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნული მოქმედება ცხოვრებაში, რომელიც არ შეესაბამება უფლის სურვილს. ხოლო გაგონება და დაყოლა, მაშინაც, როცა იოლი არაა, მისთვის რაღაცის მიცემას კი არ ნიშნავს, არამედ საკუთარი თავის მიძღვნას: ესაა ყველაზე ნამდვილი სიყვარული, რაკი საკუთარი თავის მიძღვნაა.

18 იანვარი

2022 სამშაბათი

1მეფ 16,1-13ა; ფს 88; მარ 2,23-28

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

თქვა უფალმა: "ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის!" 1მეფ 16,12

მამა ღმერთი ესაუბრება თავის წინასწარმეტყველს, სამუელს, მოუწოდებს მას და მიუთითებს, რომ შეასრულოს მისი ნება და სცხოს ქაბუკ დავითს ისრაელის ერის მეფედ. იესო, შენ, ვინც ხარ ღვთის შვილთა, შენი ახალი ერის ქეშმარიტი მეფე, წარუძეხი მათ მათი ერთიანობისკენ, რისთვისაც ევედრე მამას.

19 იანვარი

2022 ოთხშაბათი

1მეფ 17,32-33.37.40-51; ფს 143; მარ 3,1-6

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული
უფლის ნათლისღება საქ. მართლ. ეკლესიაში

"გაიწოდე ხელი!" მანაც გაიწოდა და მოურჩა ხელი მარ 3,5

იესო, შენი სიყვარულის მოქმედებები დატვირთულია ყოვლისშემძლეობით, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. თუმცა, შენ გვაძლევ შენი მობაძვის უნარს; გინდა, რომ ჩვენი სიტყვები და ჟესტები და თუნდაც ჩვენი გრძნობები და ფიქრები მხოლოდ სიყვარული იყოს. როდესაც ჩვენც ამაში ჩავდებთ ჩვენს ძალისხმევას, ჩვენ აღვავლენთ ულამაზეს ლოცვას ქრისტიანული ერთიანობისათვის.

20 იანვარი

2022

რიგითი II კვირა [II], მწ

წმ. ფაბიანე, პაპი და წამ. IIIს
წმ. სებასტიანე, წამ., +~304

ხუთშაბათი

1მეფ 18,6-9;19,1-7; ფს 55; მარ 3,7-12

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო მკაცრად უბრძანებდა მათ, რათა არ გაემჟღავნებინათ იგი მარ 3,12

იესო, შენ უკრძალავ ბოროტ სულებს განაცხადონ შენი ვინაობა: ისინი ამას არ აკეთებენ შენი და შენი მსმენელების სიყვარულით. მხოლოდ ისინი, ვისაც უყვარხარ, შენზე სწორად საუბრობენ. გვიხელმძღვანელე შენი შუქით, რადგან ჩვენ შენი მოწმენი ვართ ცხოვრებით და არა სიტყვებით.

21 იანვარი

2022

რიგითი II კვირა [II]

(8.I) წმ. აბო თბილელი, წამ. +786 (მ), წ
წმ. აგნესა ქალწ. წამ., +304 (მ), წ

პარასკევი

1მეფ 24,3-21; ფს 56; მარ 3,13-19

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

იესო ავიდა მთაზე და მოუხმო, ვინც მას სურდა მარ 3,13

გმადლობთ, იესო, შენი მოწმობისათვის. ლოცვაში გაათიე ღამე და მამისგან მიღებული შუქით აირჩიე თორმეტი მოციქული შენი მოწაფეებიდან. ისინი ერთმანეთში უნდა ყოფილიყვნენ შეერთებულნი, შენთან ყოფნა რომ შესძლებოდათ. აკურთხეთ და მოუსმინეთ მათ, ვინც გევედრება ეკლესიის ერთიანობისთვის.

22 იანვარი

2022

რიგითი II კვირა [II], მწ

წმ. ბიკენტი, მოწ. ღიაკ. + 303

შაბათი

2მეფ 1,1-4.11-12.17.19.23-27; ფს 79; მარ 3,20-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ძმაო იონათან! დიდად მვირფასი
იყავი ჩემთვის 2მეფ 1,26

იონათანმა ახლახანს გასწირა სიცოცხლე თავისი ხალხისთვის და დაეცა ბრძოლის ველზე მამის, მეფე საულის გვერდით. წმიდა გულის „საყვარელი და კეთილი“ კაცი იყო. მან ეს დავითსაც დაუმტკიცა და არაერთხელ გააფრთხილა საულის მზაკვრული ჩანაფიქრების შესახებ მის წინააღმდეგ. გმადლობთ, იესო, ყველა იმ სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთათვის, რომლებიც ამ დღეებში კვდებიან შენი სახელის გამო. გმადლობთ, რომ ამ ძმების სისხლი არის შენს სახელში ერთიანობის წინასწარმეტყველური ნიშანი.

23 იანვარი

რიგითი III კვირადღე, «ბ», [III], მწ

ღვთის სიტყვის კვირადღე

2022 კვირა

ნეემ 8,2-4.5-6.8-10; ფს 18; 1კორ 12,12-30; ლკ 1,1-4; 4,14-21

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში ლკ 4,14

იესომ, სულიწმიდის ხელმძღვანელობით, დიდ-ხანს დაჰყო მარტოობაში, მთლიანად მამისაკენ მიმართულმა. ახლა ისევ ბავშვობისა და სიყრმის ადგილებს უბრუნდება. ლოცვის ამ ჟამმა მას შესძინა ახალი ძალა სულში, ძალა სიყვარულისა, ძალა, რათა ნუგეში და ახალი სიცოცხლე მოე-ტანა ყველა ტანჯულისთვის. იესო, ჩემთვისაც ძვირფასი და ნაყოფიერი იქნება ის დრო, რასაც გავატარებ მარტო, მხოლოდ შენთან...

24 იანვარი

2022

რიგითი III კვირა [III]

წმ. ფრანცისკე დე სალი,
ეპ. და ეკლ. მოძღვ., +1622, (მ), თ

ოჩშაბათი

2მეფ 5,1-7.10; ფს 88; მარ 3,22-30

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეული

ვინც სულიწმიდას დაგმობს,
მას აღარასოდეს მიეტევება მარ 3,29

იესო, შენ ყოველთვის სიყვარულით ლაპარაკობ-
დი, სასწაულებს ახდენდი, რაც მხოლოდ ღმერ-
თს შეუძლია და ხალხი აღფრთოვანებული იყო
შენით; მაგრამ ზოგიერთებმა, შურიანებმა და
ძალაუფლების მონებმა, ცილი დაგწამეს, რითაც
უარი თქვეს შენმიერ ხსნაზე. მიეცი, იესო, შენი
ერთიანობის სული ყველა ქრისტიანს, რათა სა-
მყარომ გიწამოს შენ.

25 იანვარი

წმ. პავლე მოციქულის მოქცევა, დ, [ს], თ

2022 სამშაბათი

საქმ 22,3-16 ან საქმ 9,1-22; ფს 116; მარ 16,15-18

ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული
არალში შუასერის (მეშურნეთის) ეკლესიის დღესასწაული

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება მარ 16,16

უფლის ამ სიტყვებმა აიძულა წმიდა პავლე ერბინა, მიეღწია ბევრ ხალხში, რათა ექადაგა მათთვის სახარება. ის, რომელიც იესოს უყვარდა, ცდილობდა ყველა ჰყვარებოდა იმით, რომ მათთვის მიეტანა მხსნელი სახელი. ვინც იესოს სახელს მოუხმობს, ერთი სხეულის ნაწილია. ჩვენ განვაგრძობთ ლოცვას, რომ არცერთმა მათგანმა ეს არ დაივიწყოს.

26 იანვარი

2022

რიგითი III კვირა [III]

წმ. ტიმოთე და წმ. ტიტე, ეპ. I ს. (მ), [ს], თ

ოთხშაბათი

2ტიმ 1,1-8, ან, ტიტ 1,1-5; ფს 95; ლკ 10,1-9

ნუ შეგრცხვება ჩემი, მისი ჰატიმრისა, არამედ იტანჯე ჩემთან ერთად სახარებისათვის 2ტიმ 1,8

წმიდა პავლეს ორი მოწაფე დღეს გაერთიანებულია, რათა თავიანთი დამყოლობით და გამგონობით დაამოწმონ სახარების ჭეშმარიტება. მათ ნამდვილად ცოცხლად განიცადეს ის, საპასექო საიდუმლოს გათავისებით. მათ იტანჯნენ, რათა ცოდვილთათვის აღდგომის სიხარული მიეტანათ.

27 იანვარი

(14.I) წმ. ნინო მოციქულთა სწორი,
ქართველთა განმანათლებელი, დდ, [ს], თ

წმ. ანჯელა მეხიჩი, ქაღწული +1540

2022 ხუთშაბათი

დაბ 12,1–7; ფს 95; 1კორ 1,26–31; მარ 16,15–20

საქართველოს კათოლიკე ეკლესიის მფარველი
წმიდა ნინოს დების კონგრეგაციის მფარველი

დაუკვირდით, რასაც ისმენთ მარ 16,20ბ

იესომ იცის, რომ მისი სიტყვა ჭეშმარიტია და ისიც იცის, რომ მისი არ მიღების ცდუნება ძლიერია. ამიტომ ის მოგვიწოდებს, ვიყოთ ფრთხილად, სერიოზულად მივუდგეთ მის სწავლებას. ქრისტიანობა, რაც წმიდა ნინომ იქადაგა საქართველოში, ერთხელ და სამუდამოდ გაფორმებული აქტი როდია, რწმენა მუდამ ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ და მივიღოთ, თუ არ გვინდა, რომ შემოგვაკვდეს.

28 იანვარი

2022

რიგითი III კვირა [III]
წმ. თომა აკვინელი, მღვდ. და ეკლ. მოძ., +1274(მ), თ;
(15.I) წმმ. საღომე უჯახმეღი და პეჰოჟავჰ სივნიეღი, IVს
წმ. ახჩიღ მეფე, წამებუღი, +774

პარასკევი

2მეფ 11,1-10ა.13-17; ფს 50; მარ 4,26-34

ასეთია ღვთის სასუფეველი: კაცმა რომ თესლი ჩააგდოს მიწაში, ეძინოს თუ ეღვიძოს, თესლი აღმოცენდება და იზრდება მარ 4,27

ეს არის ერთ-ერთი იმ მრავალი იგავიდან, რომელიც წარმოგვიდგენს ახალი სამეფოს ასპექტს, რომელიც უნდა დაარსდეს მსოფლიოში. ისინი, ვინც იესოს შესახებ გაიგონებენ, განაგრძობენ ამ სახელის გულებში მოსმენას და, თუ ისინი არ იქნებიან გაბნეულები, უჟმურები ან ურჯულონი, მათ განუვითარდებათ მნიშვნელოვანი ცვლილებები აზროვნებასა და მოქმედებაში.

29 იანვარი

2022 შაბათი

2მეფ 12,1-7.10-17; ფს 50; მარ 4,35-41

ვინ არის ეს, ქარიცა და
ზღვაც რომ მას ემორჩილება? მარ 4,41

გსურს იესოსთან ერთად ნავზე ყოფილიყავი? არც ისე სასიამოვნო იყო ტალღების დანახვა, მუხლებამდე ან გვერდებამდე წყალში. აბა, ახლა იმ ნავზე ხარ, რომელზედაც ეკლესია იტანჯება და გმინავს, რადგან მასში სამყარო თავისი სიცრუით შემოდის. გააღვიძებ იესოს? რა თქმა უნდა, მაგრამ განგაშის გარეშე. ის აქაა, თუნდაც ეძინოს. ის გაიღვიძებს და ზღვა და ქარები კვლავ დაემორჩილება მას.

30 იანვარი

რიგითი ჟამის IV კვირადღე, «გ», [IV], მწ

2022 კვირა

იერ 1,4-5.17-19; ფს 70; 1კორ 12,31-13,13; ლკ 4,21-30

მაგრამ მან გაიარა მათ შორის
და გზას დაადგა ლკ 4,30

იესოს არ აშინებდა მისი ნაცნობებისაგან უარყოფა და არც მათი ძალადობა. მან იცოდა, რომ არ დამდგარა მისი მსხვერპლის ჟამი, თუმცა ის დაიწყო. მისი თავდადება და გაწვდილი სიცოცხლე მისი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე ჩანს, უამისობა წარმოუდგენელია, ვინაიდან იგი ამ წუთისოფელს არ ეკუთვნის. ახლა ის მიდის რათა სხვაგან შეასხას ხორიცი ამას.

31 იანვარი

2022

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. იოანე ბოსკო, მღვ., +1888,
სალელთა კონგრეგაციის დამაარსებელი (მ) თ
(18.I) წმ. ღიხსი ეფხემ მციხე, +1101

ოჩშაბათი

2მეფ 15,13-14.30; 16,5-13; ფს 3; მარ 5,1-20

სალელთა კონგრეგაციის დღესასწაული

იხილეს ეშმაკეთული, ზის შემოსილი და გონთმოსთული მარ 5,15

ბოლოს და ბოლოს, ადამიანი, ვინც იტანჯებო-
და და ხალხს ტანჯავდა, აღარ იტანჯება და არც
ხალხს აწუხებს. ის შეხვდა იესოს, უფლის ხმის
გაგონებისას გამოვიდნენ სულები, რომლებიც
აკავებდნენ და განაპირობებდნენ მას. რამდენი
სული უნდა გამოვიდეს ჩემგან, შენგან, ყველა
ადამიანიდან! მოვისმინოთ და გავაჟღეროთ
სიტყვა, რომელსაც სიყვარული ბადებს იესოს
ბაგეზე.